ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03-05/31

ქალაქი ბათუმი. 14 აპრილი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის დავით ეცადეიშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ლაშვარდი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" -- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაცია" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მათ მიერ დამოწმებული „ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ" (ფორმა N3), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: სარემონტო სამონტაჟო სამუშაოები,სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურეობა,საზოგადოებისათვის მომსახურეობის გაწევა. შესყიდვის ძირითადი კოდია: CPV კოდი: 45300000,50400000,75200000.

2.2. საქონლის ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2970 (ორიათასცხრაასსამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. დაფინანსების წყარო

4.1 სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით. 2016 წლის 14 აპრილიდან 2016 წლის 20 აპრილამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
6.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
6.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი სასაქონლო ზედდებულის გაფორმების შემდეგ.
6.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
6.5. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
6.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 6.3. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.
8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.
8.3. 8.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია 6.5. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
8.5. მიმწოდებლის მიერ 8.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის ან/და წუნდებული საქონლის შეცვლისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
9.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ბეჟან კოროშინაძე.
9.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
9.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

----------	----------
შემსყიდველი	მიმწოდებელი

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

11.4. 11.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

13.3. ხელშეკრულების 13.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.
13.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 13.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
15.2. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
15.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
15.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
15.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
15.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
15.8. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგ ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 23 მაისამდე .

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ,,ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა"
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
ბაგრატიონის ქუჩა N121
ს/კ 245429380
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი UGEBGE22
ა/ა GE06VT 5500 0000 0015 3408

შემსყიდველი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,, ლაშვარდი"
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლეონიძის ქუჩა N6ა
ს/კ 245 619 763
ს.ს.„საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE 37 BG 0000 000 131 808 400

მიმწოდებელი

ინფორმაცია
ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა №3
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	შეყიდვის ობიექტის კოდი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	სახანძრო განგაშის სისტემის დაყენება.	3	70,00	210,00	CPV 45312100	ქ. ზუგდიდი. ჯავახიშვილის ქ. №66	14.04.2016-20.04.2016წ.
2	ხანარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურეობა	19	40,00	760,00	CPV 50413200		
3	ხანძრის პრევენციასთან თავიდან აცილებასთან დაკავშირებული მომსახურეობები.	2000კვ.მ.	1,00	2000,00	CPV 75251110		
	ჯამი			2970.00			
	სულ ჯამი შესასყიდი საქონელის			2970,00			

მემსყიდველი

მიმწოდებელი:

საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი

ქალაქი ბათუმი.	18 აპრილი 2016 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, მყიდველი ს.ს.ი.პ. ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა" წარმოდგენილი მისი მატერიალურ ტექნკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ბექან კოროშინაძის სახით, და მეორეს მხრივ „გამყიდველი" შ.პ.ს „ლაშვარდი" მისი დირექტორი ფრიდონ მგელაძი-ს სახით ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, შპს „ლაშვარდმა" მიაწოდა, ხოლო ს.ს.ი.პ. ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლამ მიიღო სახანძრო განგაშის სისტემა, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთება და ხანძრის პრევენციასთან თავიდან აცილებასთან დაკავშირებული მომსახურეობები ,სულ 2970.00 ლარი (ორიათასცხრაასსამოცდაათი) ლარი და 00 თეთრი

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	სახანძრო განგაშის სისტემის დაყენება	ცალი	3	70	210
2	ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთება	ცალი	19	40	760
3	ხანძრის პრევენციასთან თავიდან აცილებასთან დაკავშირებული მომსახურეობები	კვ.მ.	2000	1	2000
				ჯამი	2970

(ორიათასცხრაასსამოცდაათი) ლარი

აქტი სწორია რაზედაც ვაწერთ ხელს

მყიდველი	გამყიდველი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი. 14 აპრილი 2016 წ.

ხელწერილით ვადასტურებთ, რომ ჩემი მონაწილეობა ს.ს.ი.პ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის მიერ შ.პ.ს ლაშვარდ-ის“ დირექტორის ფრიდონ მგელაძის ” გან” ს.ს.ი.პ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლისათვის CPV კოდი: 45300000;50400000,75200000, (სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების,სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომახურეობა, საზოგადოებისათვის მომსახურეობის გაწევა შესყიდვის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში, არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

სკოლის დირექტორი: დავით ეცადეიშვილი

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

გადაგზავნილი

1	ეა-70 3611649

3	აპრილი	2016

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	18	აპრილი	2016

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5	გამყიდველი

5.1	2	4	5	6	1	9	7	6	3		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ლაშვარდი

დასახელება (სახელი, გვარი)

6	მყიდველი

6.1	2	4	5	4	2	9	3	8	0		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ქალაქ ბათუმის #10 საჯარო სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
ხანძრის პრევენციასთან თავიდან აცილებასთან დაკავშირებული მომსახურებები	მომსახურება		2000.0000	305.0800	0.0000
ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების შეკეთება	მომსახურება		760.0000	115.9300	0.0000
სახანძრო განგაშის სისტემის დაყენება	მომსახურება		210.0000	32.0300	0.0000
		სულ	2970	453.04	0

სასაქონლო ზედნადების No

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

თარიღი

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

საგადახდო დავალება № 89

18 აპრილი 2016 წელი

(წელი, რიცხვი, თვე)

გადამხდელის დასახელება	სსიპ-ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა 245429380
ანგარიშის დებეტი	GE06 VT5500 0000 0015 3408
გადამხდელის ბანკი	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბანკის კოდი UGEBGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება / გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი	245429380
ბიუჯეტის შემოსულობების	
მიმღების დასახელება	შპს „ლაშვარდი"
245619763	
საინდენტიფიკაციო კოდი	
ანგარიში (კრედიტი)	GE37 BG0000 000131 808 400
მიმღების ბანკი	სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22
გადახდის დანიშნულება	ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მომსახურეობის ღირებულება
დამატებითი ინფორმაცია	
ხელმოწერები:	
ხელმძღვანელი -	
	ბ. ა.

თანხა	2970,00
თანხა სიტყვებით	ორიათასცხრაასსამოცდაათი ლარი და 00 თეთრი
ბანკის აღნიშვნები	
ბანკში შემოსვლის თარიღი:	18.04.16
გაცარებულია ბანკის მიერ:	18.04.16
ხელმოწერა	
შტამპის ადგილი	

ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა
BATUMI №10 PUBLIC SCHOOL
GEORGIA • 245429380 •
UGEBGE22
VIB
11